თანამედროვე უკრაინული პოეზია ომის შესახებ

MODERN UKRAINIAN POETRY ABOUT WAR

ნინო ნასყიდაშვილი

Nino Naskidashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: თანამედროვე უკრაინული პოეზია, ომის თემატიკა, უკრაინელი პოეტები, პატრიოტიზმი და ტრაგიზმი

Keywords: Modern Ukrainian poetry, war themes, Ukrainian poets, patriotism and tragedy

თუკი მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის უკრაინული პოეზია ცდილობდა ცხოვრებისაგან დისტანცირებასა და ჰერმეტულ სამყაროში ახალი ფენომენების და პროცესების ძიებას, უკრაინის მიმდინარე ომმა უკრაინული პოეზია სხვა რაკურსით მომართა, არსებითად შეცვალა ცხოვრებისეული ფასეულობები და პრიორიტეტები, ტრაგიზმს თანაბრად შეუფარდა ეროვნული თვითდამკვიდრების ასპექტები და სრულიად განსახვავებული ფორმით წარმოადგინა.

დროის კატაკლიზმების მიუხედავად, ომის თემატიკა უკრაინულ პოეზიაში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნიდან ჩნდება. ივან ფრანკოს 1883 წელს დაწერილ ლექსში: „გაიზარდე შენ, მაღალო მუხავ“, პირველად იხილა მკითხველმა მანამდე უცნობი ემოციები, განცდები და გამარჯვებისაკენ მოწოდება.

უკრაინელი სამოციანელი მწერლების შემოქმედებაში განსხვავებული იმპულსები გვევლინება და ომის თემატიკა უფრო პატრიოტიზმის მძაფრი შეგრძნებით, ბრაზმორეული ფრაზებით იკვეთება, კერძოდ, ვოლოდიმირ სიმონენკოს ლექსი „ახლა სადა ხართ, ჩემი ხალხის ჯალათებო“, დაწერილი 1962 წელს. გაცილებით მძაფრი და ემოციურია ლინა კოსტენკოს ლექსი „სანგარში დაწერილი ჩემი პირველი ლექსი“, დათარიღებული 1998 წლით, რომელშიც „ომში მოკლული ბავშვობის“ მძიმე და მტკივნეული სცენებია გაცოცხლებული. ერთი პატარა გოგონას ტრაგედიას ვკითხულობთ სერჰი ჟადანის ჯერ კიდევ 2016 წელს დაწერილ ლექსში, ომით დაობლებულის.

თანამედროვე უკრაინელი პოეტების შემოქმედება - დღევანდელი ომის ისტორიაა, ადამიანური ტრაგედიები და განცდებია, ბრაზია და გამარჯვების რწმენა, მოვლენების განსაკუთრებულად აღქმის ხერხია, რომელიც კულტურულ თავისებურებებსა და უნივერსალიებს აერთიანებს, ამძაფრებს პირადი ღირსების შეგრძნებასა და თავისუფლების ფასს.

If the Ukrainian poetry of the second half of the 20th century tried to distance itself from life and search for new phenomena and processes in the hermetic world, the current war in Ukraine directed Ukrainian poetry from a different angle, essentially changed the values and priorities of life, equally attributed to tragedy the aspects of national self-assertion and presented it in a completely different form.

Despite the cataclysms of the time, the theme of war appears in Ukrainian poetry since the nineteenth century. In the poem written by Ivan Franco in 1883: “Grow, tall oak tree”, the previously unknown emotions, feelings and call to victory appear for the first time.

Different impulses appear in the works of Ukrainian writers of the 1960s, and the theme of war is highlighted by a stronger sense of patriotism, with angered phrases, in particular, Volodymyr Simonenko’s poem “Where are you now, executioners of my people”, written in 1962. Lina Kostenko’s poem “My first poem written in a ditch”, dated 1998, is much more intense and emotional, in which the hard and painful scenes of “the childhood killed in the war” are brought to life. We read the tragedy of one little girl in Serhiy Zhadan’s poem, “Orphaned by war”, written in 2016.

The work of modern Ukrainian poets is the history of today’s war, human tragedies and feelings, anger and belief in victory is a special way of perceiving events, which combines cultural peculiarities and universals and intensifies the feeling of personal dignity and the price of freedom.